საქართველო

8351-01-2-201803021723

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/8351
02/03/2018

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

სს „საპარტნიორო ფონდი“

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ მ.წ. 22 თებერვალს გაიმართა ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ქალბატონ ციპი ხოტოველთან. შეხვედრას ესწრებოდნენ სამინისტროს ევრაზიული დეპარატმენტის დირექტორი ბატონი რაფაელ ჰარ-პაზი, ც. ხოტოველის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში ბატონი იოელ ლეონი. განხილულ იქნა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქ. თბილისში საქართველო-ისრაელის ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მორიგი სხდომის ჩატარება.

მხარეებმა მოკლედ მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე დინამიკა და 2018 წლის პირველ ნახევარში, ისრაელში დაგეგმილი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტების შესახებ ინფორმაცია.

ც. ხოტოველის განცხადებით, საქართველოსთან ეკონომიკური კომისიის სხდომის ჩატარება მისი დღის წესრიგის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მან ხაზი გაუსვა, რომ ქ. თბილისში გასამართ სხდომაზე, მხარეებმა უნდა მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები, რაც ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ახალი იმპულსი გახდება. მან აღნიშნა, რომ სხდომის პარალელურად ბიზნეს-ფორუმის გამართვა, კვლავ აქტუალურია ისრაელის მხარისთვის და ამ მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა ბიზნესმენთა სათანადო დელეგაციის შემადგენლობის განსასაზღვრად.

მინისტრის მოადგილემ ცალსახად განაცხადა, რომ დიდი მოლოდინი აქვს ხსენებული ღონისძიებისგან, როგორც ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების შემუშავების, ასევე, კონკრეტული კომერციული კონტრაქტების გაფორმების კუთხით. სხდომის ჩატარების ყველაზე სასურველ პერიოდად, ც. ხოტოველმა ქართულ მხარეს შესთავაზა 2018 წლის ივნისის დასაწყისი ან თვის ბოლო კვირა.

გთხოვთ, მ.წ. 10 მარტამდე მოგვაწოდოთ თქვენი უწყების კანდიდატურა კომისიის შემადგენლობაში შეყვანის მიზნით, ასევე სხდომის ოქმის პროექტში შესატანი ცვლილებები და პირველი ოქმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

დანართის სახით, გიგზავნით ოქმის არსებულ პროექტს. გთხოვთ, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოთ მასში შესაბამისი ცვლილებები.

დანართი: 34 გვ.

პატივისცემით,
გიორგი შარვაშიძე

მინისტრის მოადგილე